

**დიღემებით სწავლების როლი სწავლა-სწავლებაში**

DOI: 10.52340/erp.2024.05.15

**აბსტრაქტი**

დიღემებით სწავლება ის სასწავლო აქტივობაა, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს იმ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, რაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალი დოკუმენტით განისაზღვრა.

**დიღემას**, გადატანითი მნიშვნელობით, უწოდებენ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი იძულებულია, მისთვის არასასურველი მდგომარეობიდან აირჩიოს ერთ-ერთი.

დიღემებით სწავლება **პრობლემაზე დაფუძნებული** სწავლების მეთოდს მიეკუთვნება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეთა აღჭურვას არა მხოლოდ ცოდნით, არამედ ამ ცოდნის გამოყენების უნარით ცხოვრებაში არსებული გამოწვევების გადასაჭრელად. აქედან გამომდინარე, დიღემებით სწავლების მიზანია, მოსწავლეს განუვითაროს კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

დიღემებით სწავლებისას ყველაზე მეტად არის შესაძლებელი გამოვიყენოთ ე. წ. „VaKE“-ის მეთოდი, რაც გულისხმობს „ღირებულებით განათლებას“, ანუ, ცოდნისა და ფასეულობების შეპირაპირებას.

როგორც დიღემებით, ასევე VaKE-ის მეთოდით სწავლებას აქვს ერთი და იგივე თეორიული საფუძველი, ორივე მათგანი კონსტრუქტივიზმს ეყრდნობა, მაგრამ აქ სიახლეა ის, რომ მოსწავლემ დაინახოს ის პრობლემები, რომელიც მათ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას უკავშირდება.

დიღემებით სწავლების როლი ჩვენი აზრით ისიცაა, რომ მოსწავლეს მისცეს არჩევანის შესაძლებლობა, რაც თავისუფალი პიროვნების აღზრდის აუცილებელი პირობაა და ემოციები გაუმძაფროს, რასაც უდიდესი როლი აქვს სწავლა-სწავლებაში. სიტუაციური ამოცანები, რომელსაც მოსწავლეს ვთავაზობთ დიღემებით სწავლებისას, უცილობლად ამ მიზნებს ემსახურება.

**საკვანძო სიტყვები:** დიღემა; ღირებულებითი განათლება; თავისუფალი არჩევანი; ემოციები.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალი დოკუმენტით განსაზღვრული იდეალების მისაღწევად, მხოლოდ ტრადიციული გაკვეთილი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს; ამიტომ მასწავლებლის მხრიდან, უამრავი სტრატეგიის, აქტივობისა და მეთოდის გამოყენებაა საჭირო. დღეს არსებული სწავლების მეთოდები საშუალებას გვაძლევს დავგეგმოთ მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთლები, დავაინტერესოთ, გავზარდოთ მისი მოტივაცია და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

**დილემებით სწავლება** ის სასწავლო აქტივობაა, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს იმ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, რაც დგას განათლების სისტემის წინაშე.

დილემას აქვს თავისი განმარტება, თუმცა, გადატანითი მნიშვნელობით, დილემას უწოდებენ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი იძულებულია, მისთვის არასასურველი შესაძლებლობიდან, აირჩოს ერთ-ერთი.

თუ გადავხედავთ ლიტერატურას, დილემებით სწავლება მოიაზრებს მოსწავლეს შევთავაზოთ დებულებები, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს.

მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გაღვივების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები არსებობს (ამბავი, ბინარული დაპირისპირება, შემთხვევები), ერთ-ერთი მათგანია დილემებით სწავლება. ის მასწავლებელს ეხმარება სრულყოფილ სასწავლო პროცესს (ბოჭორიშვილი მ. და სხვანი, 2023 გვ. 6-11).

დილემებით სწავლება **პრობლემაზე დაფუძნებული** სწავლების მეთოდს მიეკუთვნება. ის მიზნად ისახავს მოსწავლეთა აღჭურვას, არა მხოლოდ ცოდნით, არამედ ამ ცოდნის გამოყენების უნარით, აქედან გამომდინარე, დილემებით სწავლების მიზანია, მოსწავლეს განუვითაროს კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნება, მისცეს თავისუფალი არჩევანის უფლება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. რათა მან შეძლოს, ზრდასრულობაში, სოციალურ ორიენტირება და ცხოვრებისეული გამოწვევების გადაჭრა.

დილემებით სწავლებისას ყველაზე მეტად არის შესაძლებელი გამოვიყენოთ ე. წ. „VaKE“-ის მეთოდი, რაც გულისხმობს „ღირებულებით განათლება“-ს, ანუ, ცოდნისა და ფასეულობების შეპირაპირებას.

როგორც დილემებით, ასევე VaKE-ის მეთოდით სწავლებას, ერთი და იგივე თეორიული საფუძვლები აქვთ. ორივე მათგანი ეფუძნება:

1. სწავლების კონსტრუქტივისტული თეორიის მიდგომებს;
2. მორსლური განვითარების თეორიას;
3. პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას;
4. დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებას.

ორივე მეთოდი მოსწავლეს ეხმარება „დამოუკიდებლად ეცადოს ცოდნის შექმნა და განვითაროს ღირებულებები” (შავერდაშვილი ე. და სხვ. 2018, გვ. 31). ე. ი. მოსწავლე, არა მარტო სწავლის სწავლას სწავლობს, არამედ, თვითაღზრდასაც ახდენს.

ღირებულებით განათლებას დიდი როლი ენიჭება დღევანდელი განათლების სისტემაში. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, გარდა მე-7 მუხლით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მიზნებისამ, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს შვიდ პრიორიტეტულ თემას, რომელთა შორისაა:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- გარემოს დაცვა;
- ჯანსაღი ცხოვრება;
- სამოქალაქო უსაფრთხოება;
- კონფლიქტების მართვა;
- ფინანსური წიგნიერება;
- კულტურული მრავალფეროვნება.

აქედან ყველა ღირებულებით განათლების საკითხებია.

როგორც დილემებით სწავლება, ასევე VaKE-ის მეთოდი **კონსტრუქტივიზმს** ეყრდნობა, მაგრამ აქ სიახლეა ის, რომ მოსწავლეებმა დაინახო პრობლემები, რომელიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებას უკავშირდება, გააცნობიერონ ეს პრობლემები, იფიქრონ და იმსჯელონ მათ გადაჭრაზე. ამიტომ დილემებად ვარჩევთ ისეთ ამბავს, სიტუაციას, რომელიც აქტუალურია და რომელიც დღევანდელობას უკავშირდება.

ხშირად მორალურ ღირებულებებზე მსჯელობა და მორალური ქცევა არა შეესაბამება ერთმანეთს. ამის კარგი მაგალითია ის ფაქტი, რომ თიქმის არ არსებობს ბავშვი, ვინც „შვლის

ნუკრის ნაამბობი”-ს წაკითხვისას გულამოსკვნით არ იტირებს, თუმცა, იგივე ბავშვს, მეორე წუთში შეუძლია სისასტიკე ჩაიდინოს ბუნების მიმართ. აქ, სპეციალისტების აზრით, მასწავლებლის ვალია მიაღწიოს იმას, რომ აზროვნების მაღალ საფეხურზე აიყვანოს მოსწავლე, ვინაიდან, ითვლება, რომ ასეთი ადამიანები უფრო ხშირად იქცევიან თავიანთ მსჯელობის მიხედვით. მასწავლებლის მხრიდან, ყველაზე რთული ამ მიზნის მიღწევაა.

დიღემებით სწავლების როლი, ჩვენი აზრით, ისიცაა, რომ ემოციები გაუმძაფროს ბავშვს, ფიქრი ასწავლოს, რადგან, სიტუაციური ამოცანები, რომელსაც მოსწავლეებს ვთავაზობთ, უცილობლად ამას ემსახურება. ხოლო რა როლი აქვს ემოციებს სწავლა-სწავლებაში, ამას პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის კლასიკოსები გვიდასტურებენ:

რუბინშტეინი აღნიშნავს, რომ საერთოდ, შემეცნების პროცესი წარმოუდგენელია ემოციასთან კავშირის, პიროვნების გრძნობადი სფეროს გარეშე, ხოლო შემეცნების გარეშე წარმოუდგენელია აღზრდის, შესაბამისად ადამიანური თვისებების აღზრდის პროცესი; მისივე აზრით, „ცოდნა, რომელიც არ არის გამსჭვალული განცდებით, არის ფორმალური ცოდნა” (Рубинштейн, 1940 გვ. 416).

ფსიქოლოგ კოგანის აზრით, „ცოდნა რწმენად იქცევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ემოციურ სფეროს გაივლის და ადამიანების აზრებს, გრძნობებს, ნებისყოფას დაეუფლება” (კოგანი, „სკოლა და ცხოვრება” 1984, №10).

უდიდესმა ჰუმანისტმა კლასიკოსმა, ვასილი სუხომლინსკიმ, კარგად იცოდა რა ემოციების როლი სწავლა-აღზრდა პროცესში, მან თავისი აღსაზრდელები საკლასო სივრცით კი არ შეზღუდა, არამედ, ემოციების გასამძაფრებლად კლასი მოაწყო „მტრედისგერი ცის ქვეშ”, (სუხომლინსკივ. 1980, გვ. 10) ხოლო ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა, იაკობ გოგებაშვილმა პატარა და-ძმა ერთ მშვენიერ დღეს სკოლის მაგივრად ჭალაში „გაგზავნა”.

თუ როგორ ვიყენებთ სწავლების ამ მეთოდს, მაგალითისთვის მოვიყვანოთ ერთ-ერთ დიღემას- „ვაზი, თუ ატამი”.

„გიორგის ოჯახს ერთ ჰექტარზე დიდი პაპის მიერ გაშენებული ვენახი ჰქონდა. გიორგის მამას უნდოდა ვენახი გაეკაფათ და მის ადგილზე ატამი გაეშენებინათ. მისი აზრით, ვენახს ატამი სჯობდა, ვინაიდან მის მოყვანას უფრო ნაკლები ძალისხმევა და თანხა

სჭირდებოდა, ვიდრე ვაზისას და ამავე დროს, უფრო შემოსავლიანიც იყო. პაპა ვენახის გაჩეხვის წინააღმდეგი იყო, რაც ოჯახში კონფლიქტს იწვევდა. გიორგი პაპის მხარეს იყო, მაგრამ იცოდა, რომ მამაც მართალი იყო.

ეს დილემა შევიტანეთ მე-10 და მე-11 კლასში. საჭირო ნაბიჯების გავლის შემდეგ მოეწყო დებატები. კლასი ორად იყო გაყოფილი, ნაწილი ბავშვებისა გიორგის მამას უჭერდა მხარს, მათი არგუმენტები იგივე იყო, რაც გიორგის მამის, ხოლო ნაწილი გიორგის პაპას ეთანხმებოდა. მათი მსჯელობიდან შემდეგი რამ გამოიკვეთა, რომ ვენახი, ქართველი კაცისთვის, არა მარტო ცხოვრების საშუალება, არამედ, ტრადიცია და კულტურაა. რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, ქართველმა კაცმა ჰიმნი ვაზს მიუზღვნა და არა ატამს, რომ წმინდა ნინო საქართველოში ვაზის ჯვრით შემოვიდა და არა ატმის ტოტების ჯვრით. ვაზის გაკაფვა ტურიზმსაც დააზარალებს, რადგან საქართველოში „ღვინის გზა“ და არა ატმის. ჩვენთვის სასიამოვნო ფაქტი იყო ის, რომ მოსწავლეები მივიდნენ იმ მიგნებამდე, რომ „ღვინის გზა“ არ ნიშნავს გზას ღვინის ქარხნებამდე, ან იმ ადგილამდე, სადაც ტურისტები, თუ სტუმრები ჭიქა ღვინოს დააგემოვნებენ, არამედ ღვინის გზა არის ტრადიციის ისტორიის და კულტურის გზა და ა. შ. და ა. შ.

რას ვაღწევთ დილემებით სწავლებისას მოსწავლეებში:

- მაღლდება კრიტიკული აზროვნების, სოციალური პასუხისმგებლობის და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
- ექმნებათ თავისუფალი არჩევანის განცდა, რის გარეშეც შეუძლებელია თავისუფალი პიროვნების აღზრდა;
- გულახდილი საუბრები, რომელიც აუცილებლად მოყვება ასეთი მეთოდით სწავლებას, აუმჯობესებს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთნდობასა და ურთიერთთანამშრომლობას;
- სწავლა სწავლების პროცესს ხდის მიმზიდველს და სასურველს;
- ამაღლებს თვითშეფასებასა და საკუთარი თავისადმი რწმენას;
- აუმჯობესებს გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევას;
- უვითარებს დებატებისა და დისკუსიის კულტურას;
- აფიქრებს ზოგადსაკაცობრიო, თუ ეროვნულ ღირებულებებზე;

- ხელს უწყობს ემოციების აღძვრას, რასაც პედაგოგები და ფსიქოლოგები გადაამწყვეტ როლს ანიჭებენ სწავლა-სწავლებაში;

- ასწავლის ფიქრს;

- რაც ყველაზე მთავარია, დილემებით სწავლება ხელს უწყობს მაღალი მორალური ღირებულებების განვითარებას, რაც თავის მხრივ, მსჯელობის და ქმედების შეპირაპირების საფუძველია.

მხოლოდ ასეთი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოსწავლეები, ზრდასრულობაში, ადვილად ინტეგრირდებიან სოციალურ და ერგებიან დღევანდელი შრომის ბაზრის უმკაცრეს მოთხოვნებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ამონაშვილი შ. „თავისუფალი არჩევანის უფლება“ გაზეთი „თბილისი“, 1988.

ბოჭორიშვილი მ. და სხვანი, მასწავლებლის წიგნი „დილემებით სწავლება“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ. 1980.

კოგანი ი. პიროვნულ თვისებათა ფორმირების მეთოდოლოგიის ზოგიერთი ასპექტი, „სკოლა და ცხოვრება“, 1984 №10.

სუხომლინსკი ვ. „გულს ვუძღვნი ბავშვებს“, „განათლება“ თბ. 1980.

შავერდაშვილი ე. მოსიაშვილი თ. „ცოდნა და ღირებულებითი განათლება“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2018.

Рубинштейн С. Л. Основы общей психологии, М. Гос Учебно-пед изд-во Наркомпроса РСФСР, 1940.

<https://www.etaloni.ge/geo/main/index/83012>

<https://www.etaloni.ge/geo/main/index/97370>

**Manana Botchorishvili**

Village Busheti Public School, Telavi Municipality

## **The Role of Teaching with Dilemmas in the Process of Teaching and Learning**

### **Abstract**

Teaching with dilemmas is such teaching activity which will greatly support to implement the goals and objectives defined by the new document of National Goal of General Education.

Figuratively, dilemma is called a condition when a person has to choose only one from his unfavorable situations.

Teaching with dilemmas belongs to the problem based teaching method.

Problem-based learning aims to equip students not only with knowledge, but also with the ability to use that knowledge to solve life's challenges. According to this, the goal of teaching with dilemmas is to

develop the student's critical, analytical and creative thinking and the ability to make decisions independently.

When teaching with dilemmas, so called VaKE method can be applied, which means “value education”, the same as confrontation of knowledge and values.

In both cases, in case of teaching with dilemmas and in case of teaching with VaKE have the same theoretical bases, both of them are based on constructivism, but the novelty is that students see the problems which are connected to their everyday life.

In our opinion, the role of teaching with dilemmas is to give the student the opportunity to choose, which is a necessary condition for the education of a free personality, and to intensify emotions, which has a great role in teaching and learning. The situational tasks that we offer the student when teaching with dilemmas inevitably serve these purposes

**Key words:** Dilemma, Value Education, Free Choice, Emotions.